

ლიტერატურული საშუაში



საშუაშის მუნიციპალიტეტის ბაზეში „საშუაშის მოამბის“ დამატება
№7, 5 აპრილი, ორშაბათი, 2024 წელი

ჰოცის ცხოვრება

„ვალში ვარ შენთან, ბაღათის ზეცავ...“

გენიოსობა, ერთდროულად, ჯილდოც არის და სასჯელიც, რადგან უფლის მიერ ბოძებული ნიჭიერების გარდა, გენიოსების ყოფით ცხოვრებას მუდამ წყალქვეშა დინებები არყევს. ხშირად ნაპირზე გამორიყულ, უწყლოდ დარჩენილი თევზბივით ყოფიერების ჭუჭყში სულს ლაფავს მათი სასიცოცხლო რესურსი. არადა, გენიოსებს ხომ ბევრი არაფერი სჭირდებათ – გარდა თავისუფლებისა და სიყვარულისა. მათი შემოქმედების სიღრმეებში ჩასანვლომად ცოტათი მაინც უნდა გესმოდეს იმ ეპოქის მაჯისცემა და ისტორიის მტვრიან საცავში ოდნავ მაინც უნდა შეიჭყიტო. ისტორიას კი ხშირად გაყალბება სჩვევია... და ასე იწერება სისტემური ეპოქის და მისი ბელადების მიერ შეთხზული „შესაფერისი ისტორია“.

ამ ეპოქების მთავარი სამიზნე და მსხვერპლი სისტემის ჭაობს ვერმორგებული, მემამბოხე სულის ადამიანები იყვნენ მუდამ. ერთ-ერთი მათგანი ვლადიმერ ვლადიმერის ძე მაიაკოვსკი გახლავთ – 1917 წლის რევოლუციის მეხოტბე, საქართველოში, ბაღათში დაბადებული საბჭოთა პოეტი, დრამატურგი და მხატვარი, რომლისგანაც საბჭოთა ხელისუფლებამ მისთვის საჭირო პოეტის ხატი შექმნა. მხოლოდ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როცა ხელმისაწვდომი გახდა არაერთი არქივი, სადაც წლების განმავლობაში მაიაკოვსკის ცხოვრებისა და პირადი ურთიერთობების ტაბუდადებული მასალები ინახებოდა, ყველა მიხვდა, რომ იგი უფრო დიდი იყო, ვიდრე საბჭოთა მეხოტბე, მისი ნაწერები კი ზოგადსაკაცობრიო პროტესტი იყო ჩაგვრის, უსამართლობისა და ჩინოვნიკური ბიუროკრატის წინააღმდეგ. და ამ ყველაფერს პოეტის 37 წლის სიცოცხლე ემსხვერპლა! ვლადიმერ მაიაკოვსკი მიხვდა, ის, რისაც სუფთა გულით სჯეროდა, შენიღბული სიყალბე იყო. ხელისუფლებას კი მხოლოდ მეხოტბე სჭირდებოდა მისგან და არა გამოფხიზლებული პოეტი.

1930 წლის 14 აპრილს, დილის 10:15 წუთზე, მე-20 საუკუნის რევოლუციურ პოეტად წოდებულმა ვლადიმერ მაიაკოვსკის მემამბოხე სულმა გამოკრული ჩახმახის სისწრაფით სამუდამოდ დატოვა დედამიწა!

თავი მოკლა, თუ მოკლეს?! თვითმკვლელობის იძულება მკვლელობის ტოლფასია!
იმ პერიოდის ლიტერატურის ისტორია ცნობილია მწერლების თვითმკვლელობით, რომელთა უმრავლესობა სადაც, ბნელ ჯურღმულებში იგეგმებოდა და თავად მსხვერპლის მიერ ხორციელდებოდა. შედეგად: მაიაკოვსკის ხელით მოკლეს მაიაკოვსკი! ესენინის ხელით – ესენინი! პაოლო იაშვილის ხელით – პაოლო!

19 ივლისს გენიოსი პოეტის დაბადების 131-ე წელი შესრულდა. როგორც ყოველთვის, არც ამჯერად ჩაიარა ამ დღემ ყურადღების მიღმა მშობლიურ ბაღათში, სადაც ჩასულ სტუმრებთან ერთად მოვიხსნე მდინარე ხანისწყალივით ბობოქარი და დაუდგრომელი, უცხო სინათლით სავსე სულის „ხულიგანი“ ბიჭის ოდა-ბადე, ან უკვე სახლ-მუზეუმი, სადაც დაიბადა, ფეხი აიდგა და ქართულ ენაზე ატიტინდა. წლების შემდეგ კი მშობლიურ კუთხეს ასე მოეფერა: „ვალში ვარ შენთან, ბაღათის ზეცავ...“ 14 წლამდე შესისხლბორცებული ქართული სული, ტემპერამენტი და ბედთან შეურიგალი ხასიათი მისი ხანმოკლე სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა...

სახლ-მუზეუმის ეზოში განთავსებულ „ლიტერატურულ სალონში“ შეკრებილი სტუმრებისთვის მაიაკოვსკის ცხოვრების უცნობ დეტალებზე საინტერესოდ ისაუბრეს მუზეუმის დირექტორმა ბექა კუჭუხიძემ; ბაღათის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის სამეცნიერო, სალიტერატურო და საერთაშორისო მიმართულების ხელმძღვანელმა კონსტანტინე კიკნაძემ. მე, როგორც მაიაკოვსკის ცნობილი „ყვავილების ისტორიის“ შესახებ სცენარის ავტორსა და სპექტაკლის „მარადიული სიყვარულის საშვი“ რეჟისორს, მომეცა საშუალება, შთაბეჭდილებები გამეზიარებინა დამსწრე საზოგადოებისთვის. შთაბეჭდილება კი ემოციის ოკეანე იყო...

დღის ბოლოს ბაღათის კულტურის ცენტრთან არსებული სახალხო თეატრის მსახიობებმა წარმოადგინეს ლიტერატურული სპექტაკლი, რომელიც ბ-ნ ზაალ ებანოიძისა და კოტე კიკნაძის ერთობლივი ნაშრომის, ესეების კრებულის – „ტრაგედია – ვლადიმერ მაიაკოვსკი“ მიხედვით იყო დადგმული, სადაც დიდი ადგილი უკავია პოეტის უიღბლო სიყვარულის ისტორიებს. ასეთი სულის ადამიანების პირადი ცხოვრება ხომ თვით ბედისწერით იყო ჩაგვრული მუდამ.

გთავაზობთ ნაწყვეტებს წიგნიდან – „ტრაგედია – ვლადიმერ მაიაკოვსკი“ პოეტის ცხოვრების ნაკლებად ცნობილი დეტალებისა და მაიაკოვსკის წინაპრების საქართველოში დასახლების შესახებ.

კონსტანტინე კიკნაძე წინასიტყვაობაში წერს: „ვლადიმერ მაიაკოვსკი თითქოს თავიდანვე ამზადებდა თავის ცხოვრებას ტრაგედიისთვის. ის იყო სცენარის ავტორი, დრამატურგი და მთავარი როლის შემსრულებელი დრამაში, რომელსაც ვლადიმერ მაიაკოვსკის ცხოვრება ჰქვია. თავად მოირგო ქარის წისქვილებთან მებრძოლი მწუხარე სახის რაინდის ნიღაბი.

ბავშვობიდან უყვარდა სერვანტესის გენიალური წიგნი, აუხდენელი ოცნებებისთვის ბრძოლას მოჰკიდა ხელი. „მე ღმერთის განგებით დავიბადე ჩვენს რკინის საუკუნეში, რათა იგი ოქროს საუკუნედ ვაქციო“. – აცხადებდა დონ-კიხოტი. არც ვლადიმერი ჩამორჩა, თავიდანვე ნაგებულ ბრძოლაზე უარი არ თქვა.

„სიყვარულს დღემდე, ტახტი ედგა ჩემს ტანჯულ ტვინში!

დღიდან მორჩით კომედიებს და გონზე მოდით,

შემხედეთ – ვიდრობ სათამაშო ჯავშანს და ვისვრი –

მე დიდზე დიდი ვარ დონ-კიხოტი.“

(„ყველაფერზე“. ზ. ებანოიძის და კ. კიკნაძის თარგმანი)

ამ წიგნში არ არის პოეტის სრული ბიოგრაფია, აქ მისი ცხოვრების ნაკლებად ცნობილი ეპიზოდებია მოყვანილი, ქართველი მკითხველისათვის იმ ეპოქისა და გარემოს შესახებ, რომელიც დაუნდობლად აჩანაგებდა თავისი დროის საუკეთესო ადამიანებს. ასე იყო მოსკოვში, ასე იყო თბილისში და, საერთოდ, პლანეტის ერთ მეექვსედზე ისეთი ამბები ხდებოდა, დანტეს ჯოჯოხეთი საყმაწვილო ზღაპრულ სამყაროდ მოეჩვენებოდა ადამიანს... ამ უდიდესი კატაკლიზმების ფონზე შეიქმნა მაიაკოვსკის გენიალური, ლირიკული ნაწარმოებები: „ხერხემლის ფლეიტა“, „ადამიანი“, „ამის შესახებ“ და სხვა, რომლებიც მისი ცხოვრებისა და სასიყვარულო დრამის განუყოფელი ელემენტებია. მათ გასაგებად უკან დაბრუნებაა საჭირო, ეპოქის სუსხი უნდა იგრძნო. გაიხსენო დრო, რომელიც აღარასოდეს უნდა დაბრუნდეს. მხოლოდ ასე შეიძლება გაიგო იმ უდიდესი ტრაგედიის მიზეზები, რაზეც ამ წიგნში გვექნება საუბარი.



საიდან მოვიდნენ...

პოეტის დიდი ბაბუა – კონსტანტინე კირილეს-ძე მაიაკოვსკი ობერ-ოფიცრად მსახურობდა და ბერისლავლში ცხოვრობდა. როცა სამხედრო სამსახურს დაანება თავი, რამდენიმე ადგილის გამოცვლის შემდეგ, საქართველოში მეუღლესთან – მატრონასთან ერთად ჩამოვიდა.

პოეტის ბაბუა კონსტანტინე კონსტანტინეს-ძე მაიაკოვსკი ახალციხეში დაიბადა. ყირიმის, კავკასიის, უკრაინისა და საქართველოს საქალაქო სამსახურებში ჩინოვნიკად მსახურობდა. ცოლად ჰყავდა ეფროსინა დანილევსკაია, შეეძინათ ხუთი შვილი: მარია, მიხეილი, ვლადიმერი (პოეტის მამა), ანა და ნადეჟდა. მიხეილმა, უფროსმა ვაჟიშვილმა, გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, სწავლა პეტერბურგის სატყეო ინსტიტუტში გააგრძელა.

ვლადიმერ კონსტანტინეს ძე მაიაკოვსკიმ (პოეტის მამა) ქუთაისის გიმნაზიის ექვსი კლასის დამთავრების შემდეგ, სწავლა განაგრძო თბილისის რეალურ სასწავლებელში, მაგრამ სახსრების უქონლობის გამო, იძულებული გახდა, სწავლა მიეტოვებინა, წასულიყო თავის უფროს ძმასთან მიხეილთან სამუშაოდ და პროფესიის ასათვისებლად, რომელიც ამ დროს სომხეთში მუშაობდა მეტყვედ. მიხეილმა ძმას უკრაინული წარმოშობის ალექსანდრა პავლენკო გააცნო და მალევე იქორწინეს კიდევ. 1889 წელს მიხეილ მაიაკოვსკი სამუშაოდ გადავიდა ტფილისში მეტყვე რევიზორად, კარგი ანაზღაურებით. ის ყოველთვის ეხმარებოდა ძმის ოჯახს. იმავე წელს, მისივე ხელშეწყობით, ვლადიმერ კონსტანტინეს-ძე ბაღდათში მეტყვედ დაინიშნა. ამ დროიდან მაიაკოვსკები ბაღდათში ცხოვრობენ.

ბაღდათში

„როცა ფოთლები იწყებენ გაყვითლებას და ცვენას, მე, როგორც გადამფრენ ფრინველს, „იქეთ, იქეთ, მშობლიური მთები მიზიდავს...“ იქ დიდხანს იქნება სითბო, დამნიფდება ყურძენი, ყველაფერი სავსეა ხილით, ყვავილებითა და მზის სხივებით. იქ, სამხრეთში არის ჩემი ულამაზესი და უსაყვარლესი კუთხე საქართველოსი – ბაღდათი – მაიაკოვსკი, ჩემი ძმის – ვლადიმერ მაიაკოვსკის სამშობლო“. – ამ სიტყვებით იწყებს ლუდმილა მაიაკოვსკი (პოეტის და) თავის წიგნს – „ვლადიმერ მაიაკოვსკი“.

„ბაღდათში მხოლოდ ჩვენ ვიყავით რუსები. ჩემი შვილები მეზობლის ბავშვებთან თამაშობდნენ და მათგან სწავლობდნენ ქართულ ენას. ვალოდიაშვილს მათგან ისწავლა ქართული. ჩვენს ოჯახში სტუმრები თავს კარგად გრძნობდნენ, მღეროდნენ რუსულ, უკრაინულ და ქართულ სიმღერებს. პოლონელები ასრულებდნენ პოლონურ ცეკვებს.“ – იხსენებს პოეტის დედა, ალექსანდრა პავლენკო-მაიაკოვსკაია.

მაიაკოვსკები ყოველთვის დიდი სითბოთი და სიყვარულით იგონებდნენ ბაღდათში გატარებულ ბავშვობის წლებს, მაგრამ მათ ოჯახს მოულოდნელად დიდი ტრაგედია დაატყდა თავს. 1906 წლის 18 თებერვალს მამა სისხლის მონამვლით გარდაიცვალა. ოჯახი იძულებული გახდა დაეტოვებინა მშობლიური კუთხე და საცხოვრებლად მოსკოვში გადასულიყო.

„ჩვენ სავსებით უსახსროდ დავრჩით... გვეძინებოდა საქართველოს დატოვება, ჩვენ შევიყვარეთ მისი ხალხი, წეს-ჩვეულებები. ქართველებთან გატარებული დღეების შესახებ დღემდე საუკეთესო მოგონებები დავგრჩა...“ (პოეტის დედის მოგონებებიდან).

14 წლის ვალოდია ტოვებს საქართველოს, ქუთაისის გიმნაზიას და ეთნიკურ სამშობლოში – რუსეთში მიემგზავრება. თუმცა, ის მუდამ ქართველად მოიხსენიებდა თავს ლექსებში:

„მე ზომიერი სიყვარულის მერგო წალკოტი,
მაგრამ კაცს შრომა სიყრმიდანვე წაფავს ბეჯითად,
მე კი – რიონის პირას გავრბოდი
და ყველაფერი ფეხზე მეკიდა.
ბრაზობდა დედა: „ეს კი უკვე მეტისმეტია!“
მამას მუქარით თავი მობეზრდა.
მე კი, ყალბს, როგორც ვიშოვიდი სამმანეთიანს,
საღდათთან ერთად ვთამაშობდი ბანქოს ლობესთან.
არც ფეხსაცმელი მამძიმებდა და არც პერანგი,
ისე მდაგავდა ქუთაისის პაპანაქება
და მზეს ვუშვერდი ზურგს და მუცელს,ვიდრე ვერაგი
სიცხე მწვავდა და მაჩანაგებდა.“

(„მიყვარს“. ვ. ჯავახაძის თარგმანი)

სხვათა შორის, ქართული ლექსის რიტმი და წყობა შემოიტანა ვლადიმერ მაიაკოვსკიმ რუსულ პოეზიაში. ამის შესახებ პირველად გალაკტიონ ტაბიძემ გაამახვილა ყურადღება.

ლილი

„ეს მე ვარ,
თვითონ ველარ ვაცხრობ მზერას დამუხტულს,
ნეკნებს ვეყრდნობი,
მარტო ვრჩები შიშველ სურვილთან,
უნდა ამოვხტე!
უსათუოდ უნდა ამოვხტე!
ვერა! ვერასდროს ამოხტები თურმე გულიდან.“

(„შარვლიანი ღრუბელი“. ვ. ჯავახაძის თარგმანი)

მაიაკოვსკი ისე, როგორც მისი ლირიკული გმირები, დიდ სიყვარულს ეძებდა მისი ხანმოკლე სიცოცხლის განმავლობაში.

„მაიაკოვსკის მოტრფიალენი დინასტიაა დედოფლებისა“ – ეს სიტყვები მისი ცხოვრების იმ ქალბატონებზე თქვა ავტორმა, რომლებიც მას უყვარდა. ასეთი ქალბატონები კი, არცთუ ცოტანი იყვნენ პოეტის ცხოვრებაში: ვერა შეხტელი და მარია დენისოვა; სოფია შემარდინა და ნატალია ბრუხანენკო; ელი ჯონსი და ტატიანა იაკოვლევა; ელზა ტრიოლე და ვერონიკა პოლონსკაია; ლილი ბრიკი... განსხვავებული სოციალური მდგომარეობისა და თვისებების მქონე თითოეულ მათგანს განათლება, კარგი აღზრდა, გამორჩეული გარეგნობა და ვლადიმერ მაიაკოვსკისადმი სიყვარულის თავისებურად გამოხატულება აერთიანებდა.



პოეტსაც თავისებურად უყვარდა ისინი და ამ სიყვარულში იყო გულწრფელი. თუმცა, ბედისწერის მსახვრალმა ხელმა არცერთ მათგანთან არ მისცა სრულყოფილი ბედნიერების უფლება.

ჩამოთვლილთაგან ლილი ბრიკისა და ვლადიმერ მაიაკოვსკის უცნაური, „აკრძალული სიყვარულის“ ისტორია ყველაზე მეტად არის გახმაურებული. ალბათ, იმიტომ, რომ არაორდინალური, თავისუფალი და ვერაგი ლილი ბრიკი ყველანაირად ცდილობდა, პოეტის ერთადერთ მუზად დარჩენილიყო.

როცა ისინი ერთმანეთს შეხვდნენ, ლილი კავანი ლიტერატურის მოყვარული გამომცემლის, ოსიფ ბრიკის მეუღლე იყო, რომელსაც არ გაუპროტესტებია მისი ცოლისა და ნიჭიერი ახალგაზრდა პოეტის რომანი. ცნობილი „სამკუთხედის“ ერთ ჭერქვეშ ცხოვრებას რატომღაც არც „ზემოდან“ არ უშლიდნენ ხელს. ბრიკები აღფრთოვანებულნი იყვნენ ვლადიმერ მაიაკოვსკის ტალანტით და ხელს უწყობდნენ მისი შემოქმედების პოპულარიზაციას. (ე. ბ.)

წიგნში ვკითხულობთ: „ვალოდიას თავდავიწყებით შეუყვარდა ლილი და ველარავის ხედავდა მის გარდა. ლილისთან შედარებით, ყველა ქალი უინტერესოდ ერჩვენებოდა. მისი საუკეთესო ნაწარმოებები „შარვლიანი ღრუბელი“, „ადამიანი“ და „ხერხემლის ფლეიტა“ სწორედ ამ იდუმალებით მოცულ ქალს ეძღვნებოდა. ვალოდია, თავის მხრივ, აცნობდა ბრიკებს თავის წრეს. ბრიკების სახლი თანდათან გადაიქცა ლიტერატურულ სალონად, სადაც თავს იყრიდა იმ დროის უამრავი საინტერესო ხელოვანი. ძალზე ჭკვიანი და მომხიბვლელი ლილი იქცა ამ სალონის ბუნებრივ ცენტრად. წიგნიერი, ელეგანტური, სრულიად თავისუფალი ცრურწმენებისგან, დიასახლისი ცოცხალი თვალებით ყველას ატყვევებდა.

„... და ხალიჩაზე შენი სახე ისევ ცოცხლდება,
შენი თვალები აცოცხლებენ ისევ ალერსით,
თითქოს ახალმა ბიალინკმა მოიოცნება
იუდეველთა დედოფალი, ულამაზესი.“

(„ხერხემლის ფლეიტა“. ვ. ჯავახაძის თარგმანი)

ლილი ბრიკი ვალოდიას ხელს უშლიდა, შეექმნა ოჯახი. როცა პოეტის ცხოვრებაში ჩნდებოდა ლამაზი ქალი, ის ყველა ხერხით ცდილობდა, თავიდან ჩამოეშორებინა მეტოქეები. ლილის მემუარებში ვკითხულობთ: „მე მაშინვე მივხვდი, რომ ვალოდია გენიალური პოეტი იყო, მაგრამ არ მომწონდა, რომ ის ისე მაღალი იყო, რომ თვალს აყოლებდნენ ქუჩაში.“ ლილიმ იზრუნა იმაზე, რომ თაობებისთვის შემოენახა მაიაკოვსკის შემოქმედებითი მემკვიდრეობა, თუმცა, არც მთლად უნაგაროდ. გამომცემლობები, წიგნების რეალიზაციისათვის, საკმაოდ სერიოზულ თანხას უხდიდნენ ლილის. ის ითვლებოდა პოეტის მემკვიდრედ და განკარგავდა მის არქივს. 1930-1935 წლებში პროლეტარ მწერალთა კავშირმა დაარწმუნა საბჭოთა მმართველები, რომ მაიაკოვსკი ბურჟუაზიული პოეტი იყო, მის ნაწარმოებებს აღარ ბეჭდავდნენ. სიტუაცია მას შემდეგ შეიცვალა, რაც ლილის წერილი სტალინთან მივიდა. წერილში იგი დახმარებას ითხოვდა ჩინოვნიკების მიერ შექმნილი პრობლემების გადაჭრაში. სტალინმა წერილს ხმაურიანი რეზოლუცია დაადო: „მაიაკოვსკი იყო და დარჩება საბჭოთა ეპოქის უნიჭიერეს პოეტად! გულგრილობა მისი შემოქმედების მიმართ დანაშაულია!“

ამის შემდეგ საბჭოთა ბიუროკრატია გულმოდგინედ შეუდგა მაიაკოვსკის სააგიტაციო ლექსებით და პოემებით რეჟიმის პროპაგანდას, მაგრამ ეს არ იყო ის, რაზეც ამბობდა პასტერნაკი: „... მე ვაღმერთებდი ადრეულ მაიაკოვსკის“, არც ის ბალდათელი ახალგაზრდა კაცი, რომელზეც უთქვამს ანა ახმატოვას: „ მაიაკოვსკი ღვთაებრივი ყმანვილია, რომელიც არავინ იცის, საიდან გამოგვეცხადა.“

ოსიპ ბრიკმა მუშაობდა დაიწყო სპეცსამსახურებში, მოსკოვის ე. წ. „მე-7 განყოფილების საიდუმლო ნაწილის რწმუნებულად“. ლიტერატურით გატაცების შემდეგ, ცოტა უცნაურია ასეთი თანამდებობის მიღება, ეს არ იყო ისეთი სამსახური, სადაც შემთხვევით ადამიანებს იღებდნენ, როგორც ჩანს, ის გადაიბირეს. ოსიპის მოვალეობა ყოფილი ბურჟუების თვალთვალი იყო. შესაძლოა, სპეცსამსახურებმა სწორედ იმიტომ გადაიბირეს იგი, რომ სცოდნოდათ, რა ხდებოდა საკმაოდ გავლენიან ლიტერატურულ წრეებში, სადაც მაიაკოვსკი მოიაზრებოდა.“ (კ. კ.)

ელი...



მაიაკოვსკის პირადი ცხოვრების ყველაზე ნათელი და იმავდროულად, ტკივილიანი ეპიზოდი, ჩემი აზრით, გერმანული წარმოშობის რუს ემიგრანტს ელი ჯონსს, იგივე ელიზავეტა ზიბერტს უკავშირდება, რომელიც ვლადიმერ მაიაკოვსკის ერთადერთი ქალიშვილის – პატრიცია ელენა ტომპსონის დედა იყო. (ე. ბ.)

„ოქტომბრის რევოლუციამ ზიბერტების მდიდარი ოჯახი სხვადასხვა ადგილას გადაიტანა. ელიზავეტა საბოლოოდ, ნიუ-იორკში წავიდა ემიგრაციაში, სადაც 1925 წელს ჩასული ვლადიმერ მაიაკოვსკი გაიცნო. მაღალი, გამხდარი გოგონას ძალიან ლამაზმა ცისფერმა თვალებმა დაატყვევა ვლადიმერის გული, რომელიც თავისუფალი იყო სიყვარულისგან, მაგრამ ჯერ კიდევ მოუშუშებელი ჭრილობებით იყო სავესე.“

მაიაკოვსკის ქარიზმა, ენერჯია, არაჩვეულებრივი ხმა, ტალანტი და სხვა გასაოცარი თვისებები გულგრილს

არ ტოვებდა ადამიანებს. თავის მხრივ, ელი მოიხიბლა გენიალური პოეტით. აღფრთოვანებას ვერ მალავდა. მათი ურთიერთობა დიდ სიყვარულში გადაიზარდა, მაგრამ „ამხანაგი ისტორია“ არ იყო მათ მხარეს. დადგა გამოთხოვების უმძიმესი უამი. თავის მოგონებებში ელი ჯონსი იხსენებს:

„სახლში მიბრუნებისას მინდოდა, დავცემულიყავი სანოლზე და ხმამალა მეტირა მის გამო, სამშობლოს გამო, მაგრამ ვერ შევძელი – ჩემი სანოლი სავესე იყო ულამაზესი ყვავილებით. როგორ შეიძლება მასზე გელაპარაკა, რომ უხეში, მკაცრი ან სასტიკი იყო! სად შეძლო ეშოვნა ულამაზესი კესანები ოქტომბრის ბოლოს ნიუ-იორკში! როგორც ჩანს, დიდი ხნით ადრე შეუკვეთა, რომ გამომშვიდობება ასეთი ლამაზი ყოფილიყო.“ რამდენიმე წლის შემდეგ ელიმ შეიტყო, რომ მაიაკოვსკი რუსეთში დაბრუნდა მეოთხე კლასის კაიუტით. მთელი თავისი უკანასკნელი დანაზოგი ამ გალანტურ შესტზე დახარჯა – კესანები ოქტომბრის ნიუ-იორკში... ელი ბავშვს ელოდა მაიაკოვსკისგან, მაგრამ დიდი ხნის განმავლობაში თავისი და თავის ქალიშვილის უსაფრთხოების მიზნით არ ახდენდა პოეტთან ურთიერთობის აფიშირებას. უშიშარი ქალი განსაკუთრებით შეაშფოთა ინფორმაციამ ლილი ბრიკის საბჭოთა სპეცსამსახურებთან თანამშრომლობის შესახებ. ელისა და მაიაკოვსკის ტრაგიკული, საიდუმლოებით მოცული სიყვარულის ისტორია მთელი საბჭოთა პერიოდის განმავლობაში უცნობი იყო და მათი ქალიშვილის არსებობაც გამოცანად რჩებოდა. მოგვიანებით პოეტის ქალიშვილი, ნიუ-იორკის უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი პატრისია ელენა ტომპსონი იხსენებს:

„დედას არ უნდოდა ელაპარაკა მაიაკოვსკისთან მისი ურთიერთობის შესახებ. ეს იყო შეგნებული პოზიცია, მოსკოვის „გრძელის ხელის“ შიშით გამოწვეული.“



საერთოდ, მაშინდელი რუსული ემიგრაცია შემოფოთებული იყო მათი თანამემამულეების მხეცური მკვლელობების გამო ევროპასა და ამერიკაში, რომლებიც, როგორც წესი, გაუხსნელი რჩებოდა.“

ვლადიმერ მაიაკოვსკი და ელიზავეტა კიდევ მხოლოდ ერთხელ შეხვდნენ ერთმანეთს საფრანგეთში, ნიცაში, 1928 წელს, როდესაც ვალოდია

პარიზში იყო მივლინებით, ხოლო ელი ნიცაში პატარა გოგონასთან ერთად ისვენებდა. პოეტმა ასეთი წერილი გაუგზავნა მათ პარიზიდან:

„ორი უსაყვარლესი, ორი მშობლიური ელი! მე უკვე მოვიწყინე თქვენ გამოვცნებობ, გნახოთ თუნდაც ერთი კვირით, მიმიღებთ? მომეფერებთ? მიპასუხეთ, გთხოვთ. თქვენი ვალოდია. 26.10.28“

პატარა ელენას მამა „უზარმაზარი“, თბილი ხელებით დაამახსოვრდა...

მაიაკოვსკისა და ელი ჯონსის ურთიერთობაზე საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გაჩნდა ცნობები, როცა მათმა ქალიშვილმა, პირველი ინტერვიუ მისცა ჟურნალისტ სერგეი ბაბიჩს. მაიაკოვსკის უგვირგვინო მეუღლისა და მისი ქალიშვილის ისტორია სინამდვილე აღმოჩნდა“.

ჟურნალისტის შეკითხვაზე – ჰგავდა თუ არა მამას, მან უპასუხა: „შეხედეთ მის ფოტოს და ახლა მე შემოხედეთ...“ ისინი საუცრად ჰგავდნენ ერთმანეთს. (ე. ბ.)

პატრისია მოსკოვში 1991 წლის ზაფხულში, მაიაკოვსკის მუზეუმის მიწვევით ჩავიდა და მამის საფლავი მოინახულა ვოდევიჩის სასაფლაოზე.

„ჩემი ცრემლები არა მხოლოდ დაკარგული მამის, არამედ ჩემთვის უცნობი ბებიისა და მამიდების საფლავების ნახვითაც იყო გამონვებული. მამის საფლავთან მუხლებზე დავევი, პირველი გადავიწერე მართლმადიდებლურად... შიშველი ხელით ამოვთხარე მიწა და ჩავასვენე ამერიკიდან წამოღებული დედაჩემი ფერფლის ნაწილი და მიწა დავასველე ცრემლებით.“ – იხსენებს პატრისია ტომპსონი. (კ. კ.)

ტატიანა...

ელი ჯონსის შემდეგ პარიზელი რუსი ემიგრანტი ქალის – ტატიანა იაკოვლევის გაეღვება ვლადიმერ მაიაკოვსკის ცხოვრებაში ღრმა კვალი დატოვა.

საოცარი სილამაზის, ტანკენარი, ლალი და დახვეწილი ტატიანა, რუსეთის ბურჟუაზიული საზოგადოების ფენიდან, 19 წლისა გამოექცა საბჭოეთს და პარიზში მხატვარი ბიძის ალექსანდრე იაკოვლევის დახმარებით მაღალი წრეებისთვის მალევე გახდა მიღებული. მისი გარეგნობის წყალობით კრისტიან დიორის მუზად იქცა მოდის სახლში. რეკლამებში იღებდნენ. მასთან მარლენ დიტრიხი მეგობრობდა, კომპოზიტორი პროკოფიევი აღმერთებდა, მწერალ და კინორეჟისორთან – ჟან კოქტოსთან ერთად სადილობდა...



1928 წელს პარიზში მივლინებით ჩამოსულ მაიაკოვსკის, მწერალმა ელზა ტრიოლემ – ლილი ბრიკის დამ, მისივე დავალებით, ელი ჯონსისა და ქალიშვილი ელის დავიწყების მიზნით, ულამაზესი ტატიანა იაკოვლევა გააცნო.

წიფელ სიყვარულსა და ოჯახურ სიმყუდროვეს დანატრებული ვლადიმერ მაიაკოვსკი ტატას მშვენიერებამ მაშინვე აიტაცა, მეტიც – გაცნობიდან ორ კვირაში ცოლობა სთხოვა. ტატიანა იხსენებს:

„ჩვენი გაცნობის მეორე დღიდან შემოდგომის მზით გამთბარ პარიზის ქუჩებში

დავხეტიალობდით, ბობოქარ ლექსებს მიძღვნიდა.

„...ტოლია სიმაღლე ჩვენ-ჩვენი, წარბი- წარბს, შუბლი-შუბლს შეშვენიის. დამიდექ გვერდში და მისმინე ეხლა მე: გულწრფელ საუბარში ვათენოთ ეს ლამე. ... რა დაგრჩა საერთო სულელურ სიტყვებთან, ამ რყევებს გაძლება სჭირდება – რას იზამ... ავლაგმავ, მაცალე, – ჯერ კვალში მივყვე და, ავლაგმავ სურვილებს მომაკვდავ კლასისას. ნითელას ვნებები წასულა ჭუჭყად, მაგრამ სიხარული, მართლაც საარაკო, დაუშრეტელია და ხშირად უბრად სიტყვების გარეშე მე – ლექსი ვლაპარაკობ. ...და მაინც სალუქი და გლუვი ტანისკენ გამიბრბის მზერა და მატყვევებ მშვენიებით, დააგდე პარიზი, წამოდი, გარისკე – მე უკვე გავშალე საშენოდ ხელები. უარობ?... არადა ზამთარიც დაიწყო, სამღურავს ვფარავ და ბოლომდე არ ვყვები. გახსოვდეს, ოდესმე მე მაინც დაგიპყრობ, ან მარტოს, ან სულაც – პარიზის თანხლებით.“

1928 წელი

ერთდროულად, მხიბლავდა და მაფრთხობდა კიდევ მისი აღნაგობა, დახვეწილი მანერები, კუმტი მზერა. ის არავის ჰგავდა... ჩვენ ვსაუბრობდით ლიტერატურაზე. ვესწრებოდი მის გამოსვლებს, რომელიც ხმაურით მიდიოდა და რომელსაც მოაწყდა მთელი პარიზული ინტელიგენცია“.

როგორც ვხედავთ, ტატიანა იაკოვლევა არ იყო გულგრილი ელეგანტური, ვაჟკაცური იერის პოეტისა და მისი ტალანტის მიმართ. თუმცა, ცოლად გაყოლაზე პასუხს აყოვნებდა:

„ერთი იყო პოეტის სიყვარული, მეორე – საბჭოთა მოქალაქის ცოლობა. პარიზის უზრუნველ ცხოვრებაზე უარი უნდა მეთქვა და მიიერ რუსეთში დავბრუნებულიყავი, სადაც ჩემს დაკარგულ ადგილს ვერ ვიპოვიდი... ვლადიმერი სამშობლოში ჩემგან გულნატკენი წავიდა, თუმცა, იმ პირობით, რომ მალე უკან დაბრუნდებოდა და სამუდამოდ, ჩემთან, პარიზში დარჩებოდა“.

მანამდე კი, ტატიანა მალავდა მისი და ვალოდიას ურთიერთობას ბებისა და ახლობლებისგან. კარგა ხანს ერთმანეთს წერილებს წერდნენ. ტატიანა ვლადიმერის ჩამოსვლას ელოდა, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებამ მას სამუდამოდ აუკრძალა უცხოეთში გასვლა, რადგან საბჭოთა ხელისუფლება და მიაკოვსკი უკვე ეჭვით უმზერდნენ ერთმანეთს. წერილებიც თანდათან შეწყდა... ტატიანას ეგონა, ვლადიმერმა დაივინა... 1930 წლის დასაწყისში ის ცოლად ფრანგ მფრინავს ბერნარ დიუ პლესს გაჰყვა...

მწერალი ელზა ტრიოლე იხსენებს: „სხვა მიზეზებთან ერთად, რის გამოც ტატიანას არ უნდოდა მოსკოვში დაბრუნება, იყო ის, რომ იცოდა, მოსკოვი – ეს იყო ლილი! ერთადერთი ქალი, რომელიც მთელი არსებით ფლობდა მიაკოვსკის.“

მიაკოვსკი მდიდარი არ იყო, მაგრამ ისეთი რამის ჩადენა შეეძლო, რაც უძვირფასეს საჩუქარს გადასწონდა... პარიზის გამოსვლებიდან ალბუმი მთელი თავისი, არცთუ მცირე ჰონორარი ბანკში, პარიზის ყვავილების ცნობილი ფირმის ანგარიშზე ჩარიცხა იმ პირობით, რომ მისი სახელით, კვირაში რამდენჯერმე, ტატიანასთვის საუკეთესო თაიგული გაეგზავნათ. ვლადიმერის გამგზავრებიდან მეორე დღეს მისი სახლის კართან კურიერი იდგა ყვავილებით ხელში.

ორანჟერეას მეპატრონეებმა პოეტის სიკვდილის შემდეგაც არ დაარღვიეს ხელშეკრულება. ტატიანა იაკოვლევისთვის ყვავილები ორმოციან წლებშიც მიჰქონდათ, როცა მე-2 მსოფლიო ომი მძვინვარებდა. დაქვრივებული და მარტოდ დარჩენილი ლამაზმანი შიმშილით სიკვდილისგან პოეტის სახელით გამოგზავნილმა ყვავილებმა იხსნეს, რომელთაც ტატიანა პარიზის ბულვარში ჰყიდდა...

პარიზიდან დაბრუნების შემდეგ, ლილი ბრიკი უმალ მიხვდა, რომ ტატიანა იაკოვლევა ვალოდიასთვის გართობა არ იყო, რომ მას ნამდვილად უყვარდა იგი და უნდოდა მოსკოვში დაებრუნებინა. ლილიმ ვერც მეტოქე ქალისადმი მიძღვნილი ლექსები აიტანა. მიაკოვსკის ცხოვრებისა და პოეზიის მუზა ერთადერთობას კარგავდა. ლილის მტაცებელი ბუნება ამას ვერ შეეგუებოდა. ლილი ბრიკმა მიაკოვსკისადმი მიწერილი ტატიანას ყველა წერილი გაანადგურა, დარჩა მხოლოდ ვლადიმერის გაგზავნილი წერილები, რომლებსაც ტატიანა სიცოცხლის ბოლომდე ინახავდა.“ (ე. ბ.)

იმედგაცრუება...

„ოქტომბრის რევოლუციამ კრახი განიცადა. ნაცვლად რევოლუციური გარდაქმნებისა და უკეთესი საზოგადოების აშენებისა, კომუნისტები ხროვად შეესივნენ ქვეყანას, დაიკავეს ძველი მმართველების ადგილები და ჩაეფლნენ მემჩანური ყოფის ჭაობში. შეფერხებებით მიმდინარეობდა ინდუსტრიალიზაცია. საბჭოთა სისტემა სახელმწიფოს მშენებლობაში ე. წ. „ბურჟუაზიულ“ კადრებს იყენებდა. სწორედ მათ ბრალდებოდათ წარუმატებლობები, ხალხის მტრობა, კონტრრევოლუციურ ძალებთან კავშირი და ა. შ. ბოლშევიკებს 20-იანი წლების დასაწყისში არ ჰყავდათ პროლეტარული წრეებიდან გამოსული, სახელმწიფო ინსტიტუტებისათვის საკმარისი ინტელექტუალები.“

მიაკოვსკი რევოლუციონერი იყო, ის უკეთესი მომავლისთვის იბრძოდა, მხარს უჭერდა ცვლილებებს, მაგრამ შეუძლებელი იყო, პროტესტი არ გასჩენოდა, ხმა არ ამოელო იმ სიმახინჯეების წინააღმდეგ, რაც ამ დროს ხდებოდა ბოლშევიკურ რუსეთში. პოეტი ახალი, განსაკუთრებული ამბოხისკენ – სულის რევოლუციისკენ მოუწოდებდა საზოგადოებას.

„ჭინჭით დაჭმუჭნით, როცა გასურთ ქვასაც, კომუნა! – და ისიც შეიკრა გუნდად. ახლა კი საერთოს აგებენ სახლს და ჯოგით შეგვრეკონ ამ სახლში, უნდათ!“

მიაკოვსკის პოემები „მთელი ხმით“ და „აბანო“ იყო მისი გალაშქრება საბჭოთა სისტემის ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ და პარტიულთების მქონე მაღალი რანგის ჩინოვნიკების მხილება.

ქალაქის, ბუნების და მთელი სამყაროს ალქმა მიაკოვსკისთვის ქვეცნობიერის საფუძვლებში იყო არა მუშური, არამედ ბოჰემური. ამიტომ, ბოლშევიკები ეჭვის თვალთ უყურებენ პოეტს. მათ მტრული დამოკიდებულება ჰქონდათ იმ ლიტერატურული მიმდინარეობის მიმართ, რომელსაც მიაკოვსკი წარმოადგენდა.

1929-30 წლებში დაიწყო საბჭოთა აპარატის მასობრივი წმენდა „საეჭვო სოციალური წარმოშობის კადრებისა“ და „უცხო ელემენტების“ წინააღმდეგ. მთავარი კრიტერიუმი არა პროფესიონალიზმი, არამედ პარტიის ერთგულების ხარისხი გახდა.

წმენდა დაიწყო კულტურის და მეცნიერების სფეროშიც. ბევრ ცნობილ მეცნიერს ბრალი დასდეს „მავნებლობაში“. დაიწყო რიგი მწერლების მიმართ კოორდინირებული კამპანია. ესენი იყვნენ : მიხეილ ბულგაკოვი, ანდრეი პლატონოვი, ილია ერენბურგი, ვლადიმერ მაიაკოვსკი და სხვები.

მწერალი ვინაგრადოვი იხსენებს ბრიკების მეგობარი ი. ს. აგრონოვის (მთავარი პოლიტიკური სამმართველოს განყოფილების უფროსის) კაბინეტში მაიაკოვსკის ერთ-ერთ შეხვედრას:

„აგრონოვი ავად, დამამცირებლად, დაცინვით ესაუბრებოდა პოეტს: აი, შენ „ხერხემლის ფლიტაში“ ამბობ: „ხომ არ დავუსვა ჩემს სიცოცხლეს ტყვიის წერტილი“, მაგრამ თქვენ, პოეტებს, გიყვართ სიტყვით ტრაბახი, საქმეში კი მხდალები ხართ. აჰა, ვნახოთ, როგორი გულადი ხარ, გეყოფა თუ არა ვაჟკაცობა, დაუსვა შენს სიცოცხლეს ტყვიის წერტილი!“ – და აგრონოვმა ამოიღო რევოლვერი და მაიაკოვსკის გაუნოდა. მან აიღო იარაღი და წავიდა“. ეს ის აგრონოვია, რომელიც ხელმძღვანელობდა შემოქმედებითი ინტელიგენციის განყოფილებას მთავარ პოლიტიკურ სამმართველოში. მისი ორგანიზებით დახვრიტეს ათობით ინტელექტუალი 1921 წელს, მათ შორის პოეტი გუმილიოვი. სწორედ აგრონოვი ადგენდა იმ მწერლების სიებს, რომლებიც იმავე წლის შემოდგომაზე გააძევეს ქვეყნიდან.

აშკარა იყო მაიაკოვსკის წინააღმდეგ პროლეტარიატი მწერლების ბოიკოტიც.

1930 წლის 18 თებერვალს ლილი და ოსიპ ბრიკები საზღვარგარეთ გაემგზავრნენ. ვლადიმერ მაიაკოვსკიმ ვერონიკა პოლონსკაიას, თავის უკანასკნელ საყვარელ ქალს ცოლობა შესთავაზა. უნდოდა, ლილის ჩამოსვლამდე მოესწრო ოჯახის შექმნა.

მიაკოვსკის მტრებმა ხელისუფლებაში ბევრი გავლენიანი პირი დაარწმუნეს, რომ უმჯობესი იქნებოდა პოეტის მოშორება, რადგან ის უკვე ყველას ყელში ამოუვიდა.

1930 წლის 14 აპრილს ლუბიანკაზე, პოეტის სამუშაო ოთახში გასროლის ხმა გასმა. შემთხვევის ადგილას შესაშური ოპერატიულობით მივიდნენ მთავარი პოლიტიკური სამმართველოს მაღალჩინოსნები. გარდაცვლილი პოეტის ცხედარი გენდრიკოვოზე, მის ბინაში გადაასვენეს. ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ, ტვინის ინსტიტუტის დირექტორისა და თანამშრომლების მიერ ამოღებული იქნა ვლადიმერ მაიაკოვსკის ტვინიც, რომელიც 1700 გრამს იწონიდა.

იდეოლოგიური თვალსაზრისით, მიაკოვსკის სიკვდილი ხელისუფლებისთვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა, თუ როგორ აღიქვამდა საზოგადოება ამ აფექტს, ან რას იტყოდნენ საზღვარგარეთ. აგენტების საშუალებით დაიწყეს ხმების გავრცელება, რომ პოეტმა უიღბლო სიყვარულის გამო მოიკლა თავი. საჭირო იყო საზღვარგარეთის თვალში მიაკოვსკის სიკვდილი ასე წარმოეჩინათ.

1935 წელს ლილი ბრიკის მიერ სტალინისადმი მიწერილი წერილისა და ამ წერილზე სტალინის რეზოლუციის შედეგად, პრესა, სიცოცხლეში პოეტის დევნისა და განქიქების შემდეგ, გადავიდა მის ქება-დიდებაზე. მას მოიხსენიებდნენ, როგორც ჭეშმარიტ რევოლუციურ პოეტს!

ისტორიას დიდი ადამიანების ბევრი საიდუმლოებით მოცული მკვლელობა და თვითმკვლელობა ახსოვს. დრომ ბევრი პასუხგაუცემელი შეკითხვა შემოინახა, თუმცა, ერთი რამ ცხადია, როგორც ეიზენშტეინმა თქვა:

„ვლადიმერ მაიაკოვსკი უნდა მოემორებიდან და მოიშორეს კიდეც!“

უკანასკნელი

„უსაზღვრო სივრცე,
უსახლკაროს მიმიღებ, ვიცი!
დასრულდა ჟამი,
მჩატე ცა რომ თავზე მეფარა...
ჩემ ქვეშ ათასი ტაძარი იწვის
და „წმინდანების საუფლოში“
მიჰყავს ქვეყანა...“ (ზ. ებანოიძის და კ. კინაძის თარგმანი)

მოამზადა ეკატერინე ბაქრაძემ



როგორც კი
დავადგი
ფეხი კავკასიას,
მყისვე
მომავონდა,რომ
მე ქართველი ვარ